

ინტერნეტ-გვერდზე [www.tbcbank.ge](http://www.tbcbank.ge) განთავსებული ფიზიკური პირის საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების (შემდგომში "ხელშეკრულების") 8.5 პუნქტის შესაბამისად სს "თიბისი ბანკი" გათვალისწინებული ხელშეკრულებაში შემდეგი ცვლილებების (დამატებების) შეტანას:

შეიცვალოს ხელშეკრულების 7.4 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"7.4 კლიენტის მომსახურების გაუმჯობესების მიზნით კლიენტი ბანკს ანიჭებს უფლებას სამოქალაქო რეესტრის სააგენტოსგან მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია კლიენტის შესახებ (მათ შორის პერსონალური მონაცემები) ანგარიშ(ებ)ის გახსნის, ოპერაცი(ებ)ის წარმოების ან/და მომსახურების განვების დროს."

შეიცვალოს ხელშეკრულების 13.2.1.3 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"13.2.1.3 მობილური ტელეფონის აპარატის, სიმ-ბარათის ან/და ნომრის შეცვლის ან/და დაქარგვის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ბანკს ტელეფონით (ნომერზე +99532 272727), წერილობით, ინტერნეტ-ბანკით ან ბანკი-კლიენტით."

შეიცვალოს ხელშეკრულების 13.2.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"13.2.2.1 კლიენტის მიერ ტელეფონის ნომრის შეცვლის, მობილური ტელეფონის აპარატის ან/და სიმ-ბარათის დაქარგვის თაობაზე ზეპირი (ტელეფონით), წერილობითი ან ინტერნეტ-ბანკის/ბანკი-კლიენტის მეშვეობით კლიენტისგან მიღებული შეტყობინების საფუძველზე უზრუნველყოს მოკლე ტექსტური შეტყობინებებით მომსახურების შეჩერება მომსახურების აღდგენის თაობაზე კლიენტის განცხადების მიღებამდე. კლიენტის მიერ ბანკისთვის ზეპირი (სატელეფონო) განცხადების წარდგენის შემთხვევაში კლიენტის იდენტიფიკაცია მოხდება სატელეფონო კოდით ან დამატებითი კითხვების მეშვეობით."

შეიცვალოს ხელშეკრულების 16.10 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"16.10 იპოთეკური კრედიტის, სამომხმარებლო კრედიტის ან/და ავტო-კრედიტის (ამ ხელშეკრულების 16.10-16.15 პუნქტების მიზნებისთვის შემდგომში "კრედიტის") დაფარვის გრაფიკით გათვალისწინებული გადახდების ვადაზე ადრე განხორციელება (მათ შორის კრედიტის წინსწრებით სრულად ან ნაწილობრივ დაბრუნება ან/და რეფინანსირება) შესაძლებელია მხოლოდ სავარაუდო გადახდის თარიღამდე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე კლიენტის/მსესხებლის მიერ შესაბამისი წერილობითი განცხადების ბანკისთვის წარდგენის შემდეგ."